



1გ/386-17



## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

21 მარტი 2017 წ.

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ბრალდებულ გ. ჯ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გიორგი კერატიშვილის 2017 წლის 15 მარტის განჩინებაზე, თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გიორგი ქობულაძის საჩივრის დასაშვებობის საკითხი და

### გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის №008290715009 საქმე ბრალდებულ გ. ჯ.-ს მიმართ (დაბადებული XXXX წლის XX თებერვალს; პ/ნ XXXXXXXXX).

საქმის მასალების მიხედვით, 2017 წლის 14 მარტს გ. ჯ.-ს ბრალდების შესახებ დადგენილება წარედგინა დაუსწრებლად მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მეშვეობით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის- ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა (იხ: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

აღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 14 მარტს თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების სტაჟიორ-პროკურორმა ნათია გურულმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა



კოლეგიას და ითხოვა ბრალდებულ გ. ჯ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გიორგი კერატიშვილის 2017 წლის 15 მარტის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ბრალდებულ გ. ჯ.-ს მიმართ არ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე, წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2017 წლის 18 აპრილს.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა გიორგი ქობულაძემ, რომელიც ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გიორგი კერატიშვილის 2017 წლის 15 მარტის განჩინებაში ცვლილების შეტანას და ბრალდებულ გ. ჯ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას.

საჩივარში მითითებულია, რომ საქმის მასალების მიხედვით 2015 წლის 14 ივნისს გ. ჯ. არათუ მართავდა ავტომობილს, არამედ მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი იყო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე, რის შემდეგაც ბრალდებულმა მიატოვა შემთხვევის ადგილი და მიიშალა, რის მოტივსაც წარმოადგენდა ის გარემოება რომ გ. ჯ. იმყოფებოდა გამოსაცდელი ვადის ქვეშ და ჩამორთმეული ჰქონდა ავტომობილის მართვის უფლება. აღნიშნული დღის შემდეგ მიუხედავად გამოძიების არაერთი მცდელობისა ვერ მოხერხდა ბრალდებულთან დაკავშირება, მისი ადგილსამყოფელის დადგენა და საგამომიებო ორგანოში გამოცხადება, რასაც ასევე ადასტურებს ის ფაქტი რომ ბრალდების შესახებ დადგენილება 2017 წლის 14 მარტს ჩაბარდა არა ბრალდებულს არამედ ბრალდებულის ადვოკატს, ანუ გ. ჯ. დაახლოებით ერთი წლისა და ცხრა თვის განმავლობაში მიმალულია, მან თავი აარიდა საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულებასაც, რის გამოც 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინებით დაინიშნული სასჯელი მას შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. ამასთან, როგორც წარმოდგენილი მასალებით დასტურდება ბრალდებული თავად დაუკავშირდა გამომძიებელს პროგრამა „ვაიბერის“ საშუალებით რა დროსაც განუცხადა, რომ არ აპირებდა სასამართლოში გამოცხადებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაციასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებულის მიმართ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოცხადებულია ძებნა და გ. ჯ.-ს დაკავების შემთხვევაში ისედაც იქნება აღკვეთილი მისი თავისუფლება საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა კონკრეტულად მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებობდა თუ არა აღკვეთის ღონისძიების საფუძველი, ხოლო ფაქტობრივი გარემოება რომელიც ცდება განსახილველი საქმის ფარგლებს არ უნდა გამოყენებულიყო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველად, მითუფრო, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით ირღვევა ასევე საქართველოს სსსკ-სი 206-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლება, კერძოდ გ. ჯ.-ს ძებნილია თუმცა არა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე და იგი დაკავების შემთხვევაში ვერ იქნება წარდგენილი მაგისტრატ მოსამართლესთან 48 საათში. დამატებით პროკურორი მიუთითებს, რომ გ. ჯ.-ს ბრალი ედება განზრახი დანაშაულის ჩადენაში რომელიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს



თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით, იგი დღემდე თავს არიდებს გამოძიებას და როგორც მოწმეთა გამოკითხვის ოქმებით ირკვევა ბრალდებული 2015 წლის აგვისტოში იმყოფებოდა საზღვარგარეთ მოსალოდნელი სასჯელის თავიდან არიდების მიზნით. დასახელებული გარემოებები ბრალდების მხარის შეფასებით ცალსახად ადასტურებს ბრალდებულის არაკანონმორჩილ ხასიათზე და მაღალია რისკი იმისა, რომ თავისუფლებაში ყოფნისას იგი ჩაიდენს ახალ დანაშაულს, მითუფრო, რომ იგი წარსულში გასამართლებულია არაერთი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო დანიშნული სასჯელის-საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომისთვის თავის არიდების შემდეგ დანიშნული სასჯელი შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით, ანუ სახელმწიფოს ლოიალური დამოკიდებულება არ აღმოჩნდა ბრალდებულისთვის შემაკავებელი ფაქტორი და მან კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდების მხარე ითხოვს ბრალდებულ გ. ჯ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას. (იხ.საჩივარი)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საჩივრის არსებითად განხილვამდე, მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს და წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს. საჩივარი დასაშვებია მაშინ, თუ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა ან არსებული მოთხოვნების დარღვევა მისი მიღებისას ანდა საჩივარში მითითებულია არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხსა და მტკიცებულებაზე, რომელიც არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ და რაც გავლენას იქონიებდა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

პროკურორის საჩივრის დასაშვებობისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებისას დადგინდა, რომ საჩივარი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

განჩინების გაცემისას პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა, მოუსმინა პროცესის მონაწილეებს, გაანალიზა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე არ არსებობდა ბრალდებულ გ. ჯ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის ფორმალური საფუძველი.

პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს მიერ განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით და კანონის მოთხოვნათა არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შერჩევას, მოსამართლემ სრულყოფილად შეაფასა აღკვეთის ღონისძიების მიზნებისა და საფუძვლების არსებობა, გაითვალისწინა საპროცესო ნორმების მოთხოვნები, იმსჯელა იმ საფრთხეებზე, რაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ (პროცესუალურ) წინაპირობებს ქმნის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინებით გაუქმდა გ. ჯ.-ს მიმართ აღმოსავლეთ



საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2015 წლის 09 მარტის გადაწყვეტილებით განსაზღვრული საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა და მოუხდელი ვადა 760 საათი შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით ხუთი თვისა და ორი დღის ვადით, ამავე განჩინებით გ. ჯ.-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა. სასამართლომ მიუთითა, რომ დღეის მდგომარეობით აღნიშნული განჩინება არ არის აღსრულებული და ბრალდებულის დაკავების შემთხვევაში მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე აღარ იარსებებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველი, ვინაიდან ბრალდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებით და თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდით სრულად იქნება აღკვეთილი ბრალდებულის მიერ თავის არიდების, მიმალვის, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეები. (იხ. განჩინება)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია ეთანხმება ამ მსჯელობას, მიუთითებს მასზე და დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანხმად აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტული პირისათვის ბრალის წაყენება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. თბილისის სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ თითოეულ სისხლის სამართლის საქმე არის ინდივიდუალური, რომლის გამოძიება მიმდინარეობს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გარშემო და გამოძიების მიზანია სამართლებრივი შეფასებები მისცეს ამ ფაქტებს. ამ პროცესში შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ბრალდებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ამ საკითხის გადაწყვეტისას ბრალდების მხარემ დაწვრილებით უნდა შეაფასოს ამ პირის პიროვნული თვისებები, სს საქმის გარშემო არსებული გარემოებები და ამის შემდეგ განსაზღვროს არის თუ არა მისი მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის თუ მტკიცებულებებზე ზემოქმედების საფრთხეები. განსხვავებული მოცემულობის წინაშე დგება ბრალდების მხარე და სასამართლო თუ ამ კონკრეტულ პირს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული აქვს სასჯელის ისეთი სახე, რომელიც ავტომატურად გამორიცხავს ამ საფრთხეების რეალიზაციას. კონკრეტულ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ბრალდებული გ. ჯ. 2014 წლის 08 ივნისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 04 (ოთხი) წლისა და 03 (სამი) თვის ვადით, საიდანაც 01(ერთი) წელი და 03 (სამი) თვე განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 03 (სამი) წელი ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2015 წლის 09 მარტის გადაწყვეტილებით ბრალდებულ გ. ჯ.-ს დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინებით გაუქმდა გ. ჯ.-ს მიმართ აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2015 წლის 09 მარტის გადაწყვეტილებით განსაზღვრული საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა და მოუხდელი ვადა 760 საათი შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით 05 (ხუთი) თვისა და 02 (ორი) დღის ვადით, ამავე განჩინებით გ. ჯ.-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა, ქ.თბილისის შსს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოში შექმნილია ძებნის





საქმე სამძებრო ნომრით/მუხლებით და მიმდინარეობს გ. ჯ.-ს დაძვინა დაკავების მიზნით. შესაბამისად, ის გარემოება, რომ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის მიმართ გამოცხადებულია ძებნა და დაკავების შემთხვევაში იგი შესახლებულ იქნება პენიტენციურ დაწესებულებაში ხუთი თვისა და ორი დღის ვადით თავისთავად გულისხმობს, რომ დანიშნული სასჯელის მოხდით სრულად იქნება აღკვეთილი ბრალდების მხარის მიერ დასახელებული საფრთხეები. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე პირს სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე ერთის მხრივ დანიშნული ჰქონდეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო მეორე საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს პატიმრობა, თუმცა ამ დროს აუცილებლად უნდა დადგინდეს დანიშნული სასჯელის მოქმედების პირობები, რომელიც წინ უსწრებს აღკვეთის ღონისძიების -პატიმრობის გამოყენებას. კონკრეტულ შემთხვევაში წინმსწრები საქმის განხილვა დასრულებულია, გამოტანილია განაჩენი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინებით ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ხუთი თვისა და ორი დღის ვადით. აღნიშნული ცალსახად გამორიცხავს ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შესაძლებლობას დაკავების შემდგომ პერიოდში, რასაც თან შესაძლოა მოჰყოლოდა უკვე ბრალდების მხარის მიერ დასახელებული ის საფრთხეები, რაც დგას კონკრეტული გამოძიების პროცესში. თბილისის სააპელაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ გ. ჯ. თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებს და სასამართლოს, შესაბამისად მისი მხრიდან მიმალვა უკვე რეალიზებული საფრთხეა და მას შესაბამისი აღკვეთის ღონისძიება ესაჭიროება, თუმცა აქ საქმე გვაქვს ძალზედ სპეციფიკურ შემთხვევასთან, ვინაიდან ბრალდებულს სხვა საქმეზე უკვე სასჯელის სახედ და ზომად შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა. პატიმრობა არის ბრალდებულისათვის თითქმის ყველა თავისუფლების შეზღუდვა, ამიტომ მის ერთხელ გამოყენებას შეუძლია აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, სხვა სს საქმეებთან მიმართებაშიც, განსაკუთრებით ეს ეხება მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, ვინაიდან ბრალდებულის დაპატიმრება და თავისუფლების აღკვეთა გამორიცხავს მის მიმალვას სხვა საქმის წარმოების პროცესში, ასევე მისი მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას. რაც შეეხება სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილს, რა თქმა უნდა არსებობს ეს დანაწესი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ დროს პირის მიმართ სხვა საპატიმრო ღონისძიება არაა გამოყენებული და მიმალული პირის მიმართ პირველად ხორციელდება თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიების გამოყენება. ამასთან დადგენილია, რომ ამ ეტაპზე ბრალდებულს გადაკვეთილი არა აქვს სახელმწიფო საზღვარი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივარში არ არის დასაბუთებული გასაჩივრებული განჩინების დებულებათა მცდარობა, ან რა არსებული მოთხოვნები დაირღვა მისი მიღებისას ან/და საჩივარში არ არის მითითებული არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხსა და მტკიცებულებაზე, რომელიც არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების თანახმად, საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამასთან, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია და არც საქმის მასალებში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულება, რომელიც არსებით გავლენას მოახდენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების მართლზომიერებაზე.



შესაბამისად, საგამომიებო კოლეგია სრულად ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და დასაბუთებული, ხოლო წარმოდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს (წინაპირობებს), რის გამოც იგი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 207-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ბრალდებულ გ. ჯ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე გიორგი კერატიშვილის 2017 წლის 15 მარტის განჩინებაზე, თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გიორგი ქობულაძის საჩივარი დაუშვებლად იქნას ცნობილი;
2. განჩინება (ასლები) გაეგზავნოს და გადაეცეთ სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-7 ნაწილით და 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილი